პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! პარასკევი, 26 მარტი 1926 წ. წელიწადი მეექვსე ფასი 3 კ.

ჭიათურის პროლეტარი

64 (1059) 1 და 2 ჰარტული მსრ. დივ. პოლიტ-განეგის ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ეკატერინოვის ქუჩა ელსმენი №—24
განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 1 გვ. 40 კ.

დღეს 26 მარტს, საღამოს 6 საათზე „11 სექტემბერის დაღუპულ ბიბლიოთეკის სახელობის დარაზ-ში მოწვეულია ტფილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა.

დღის წესრიგი:

1) მ.ზრის არჩევნების შედეგები.
2) აღმასკომის 1925/26 წლ. ბიუჯეტის გამართლება.
3) ელექტრონის გაყვანილობათა ნორმები.
4) მიმდინარე საკითხები.

აღმასკომის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

ჩვენი მორიგი ამოცანები.

ხუთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენი წითელი არმია დაარსდა და ამ ხუთი წლის განმავლობაში არა ერთი და ორი საყურადღებო ამოცანა იქმნა მის მიერ შესრულებული და ცხოვრებაში განხორციელებული.

ამაყრამ დღესდღეობით, როდესაც ჩვენ ფეხი შევდგით ჩვენი წითელი არმიის არსებობის და მუშაობის მეექვსე წელში, ჩვენს წინ კვლავ ახალი, მორიგი ამოცანები იშლებიან, რომლებიც თხოულობენ დაუყოვნებელ მის შესრულებას.

ეს ამოცანები უმთავრესად, როგორც ეს ამ. ვოროშილოვის პრძანებაშია გატარებული—ასეთი ხასიათის არის:

მშრომელებთან კავშირის განმტკიცება, მათი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების საქმეში ფართედ ჩაბმა, ფართე სამხედრო და კულტურული პროპაგანდა მთელ მოსახლეობის შორის, მთელ მუშურ გლეხურ წითელ არმიასთან მტკიცე კავშირის შენება და მისი გაძლიერება, გაღრმავებული უშიშობა მერიგე და უფშმადგენლობის საბრძოლო და პოლიტიკური მოზადების საქმეში, მიზანშეწონილი გამოყენება პატრიალურ რესურსებისა სამხედრო ტექნიკის ყოველმხრივ ამაღლების საქმეში, რეორგანიზაციონური, შეიარაღებული ძალის ცხოვრების შეთვისებისა და წითელ არმიელებსა და მეთაურებს შორის.

ეი ის ამოცანები, რომლებიც უნდა იქნეს შესრულებული ჩვენი წითელი არმიის მიერ და მისი სასწორით და სრული შესრულებით, უფრო მეტად გამაგრდება და გამტკიცდება ჩვენი წითელი არმიის რიგები.

ხოლო თუ რა აზრის შემცველია ეს მორიგი ამოცანები—ამის გარკვევას და დაწვრილებით განმარტებას, ჩვენ შევეცდებით ჩვენი გაზეთების მოსახლეობის შორის, მთელ მუ

ჩვენც ნუ ჩამოვრჩებით.

მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარეობს კამპანია ლოზუნგით „დავეხმაროთ უმწეო ბავშვებს“.

ჯერ იმპერიალისტური, მერე სამოქალაქო ომების, ინტერვენციამ, უმაღლესობით ლობამ, რომელმაც მთელი საბჭოთა კავშირის დიდი ტერიტორია, მოგვცეს დიდი რიცხვი უპატრონო მშობლები თაობის, რომელნიც გაფანტულნი არიან საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ბევრი მათგანი იღუპება სიშილით, სიცივით, უბინაობით. ბევრი მათგანი ეჩვევა რა პატარაობიდანვე მათხოვრობას, ქურდობას, სიმუდამოთ იღუპება პატიოსანი შრომისათვის.

საბჭოთა ხელისუფლება ვერ შეურიგდებოდა მოვლენას. დღეს, პროლეტარიატის დიქტატურის და მისი მომავალი, უნდა გაიდოს თავისი წვლილი უმწეო ბავშვთათვის.

მოწოდება, რომლითაც მიმართა ყველა მზრუნველი უმწეო ბავშვთა დახმარე საზოგადოებამ, ჰპოვა გამოძახილი მთელ საქართველოში. საზოგადოებას მოსდის თანხები საქართველოს ყოველ კუთხიდან: ქალაქის მუშებს არ ჩამორჩენ სოფელში მცხოვრებნიც.

ნურც ჩვენ ჩამოვრჩებით მუშებს და გლეხებს.

ჩვენც დავეხმაროთ უმწეო ბავშვებს.

ჩვენც შევიტანოთ ჩვენი წვლილი ამ დიად საქმეში.

ე. ხუციშვილი.

ახალი რადიო ამბები

ჩინეთის ამბები.

ძველ პოზიციებზე.

ჩინეთის სახალხო არმიები იბრძვენ იმ პოზიციებზე (მდ. იან—ცზე—კიანგის ქვემო ნაპირებზე), რომლებზედაც ისინი იმყოფებოდენ სექტემბრის გამოსვლამდე მუკდენის ჯარებს წინააღმდეგ.

ტიან—ცზინი მუკდენისა და თეთრგვარდიელთა ჯარების ხელშია.

ტიან—ცზინში შეიდენ ჩან—ძოლინის ჯარები, მათ რიცხვში რუს თეთრგვარდიელთა დიდი რაზმი.

ხშირია, რომ ჯარები ძარცვავენ ქალაქის ჩინეთის ნაწილს.

უცხოელები შეშინებული არიან.

საელჩოების რაიონებს პეკინში სამხედრო ბანაკის სახე აქვს.

რაიონებს იცავს ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული რაზმი. უცხოელები დიდ შიშში არიან. მოელიან არეულ-დარეულს ჯარების მოძრაობის გამო.

პეკინის დაცვის სამსახურს ასრულებს სახალხო არმიის საელჩოსო დისციპლინიანი ჯარები.

ყოფილი პრეზიდენტი—ცაო—კუნი.

ხმები დადის, რომ ზოგიერთ წრეებში სცდილობენ ყოფილ პრეზიდენტის—ცაო—კუნის გათავისუფლებას ციხიდან. ცაო—კუნმა, ჩინეთის პრეზიდენტობის დროს, დიდძალი ფული დახარჯა პარლამენტის წევრების მოსასყიდად. როცა უ—პეი-ფუ დამარცხდა, ცაო—კუნის მთავრობა ჩამოგდეს, ხოლო თვითონ კი დაპატიმრეს და დღემდის ციხეში ზის.

პეკინის მთავრობა ფაქტიურად აღარ არსებობს.

23 მარტს დანიშნული იყო ჩინეთის მთავრობის სხდომა, რომელზედაც გამოცხადდა მხოლოდ 4 მინისტრი და ისინიც სასწრაფოდ დაიშალნენ.

ჩინეთის წრეებში ფიქრობენ, რომ მთავრობა ფაქტიურად უკვე აღარ არსებობს.

გერმანიის განცხადება.

გერმანია თავის ოფიციალურ განცხადებაში გაკვირვებას გამოთქვამს იმით, რომ ჩემბერლენმა ასეთი მნიშვნელოვანი მისია ბრაზილიის განცხადებას გერმანიის ერთა ლიგის მიღების საკითხში.

თუ რომ ინგლისი დაინტერესებით მოითხოვდა იმას, რომ ლოკარნოს ხელშეკრულობა შეეა ძალაში, მხოლოდ გერმანიის ლიგაში მიღებითო, ინგლისი ვალდებული იყო დაბრკოლებათა წამოჭრის შემთხვევაში ეცნობებინა ყველაფერი გერმანიისთვის ერთა ლიგის სპეციალურ სხდომის დაწყებამდე.

უმუშევართა დემონსტრაციები გერმანიაში.

23 მარტს მთელ გერმანიაში ჩატარდა უმუშევართა დემონსტრაციები კომპარტიის თაოსნობით.

მიუხედავად პოლიციის რაზმების სასტიკი ზომებისა მაინც შესდგა მთელი რიგი კრებები და მიტინგები, სადაც უმუშევრები სასტიკად იერიშრებენ მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ.

გაფიცვები რუმინეთში.

რუმინეთის მთელ რიგ სამრეწველოების მუშებმა მოითხოვეს 10 პროც—თ ხელფასის მომატება.

ქარხნის პატრონებმა მათ უარი უთხრეს. ამის გამო გაიფიცა მძიმე მრეწველობის რამოდენიმე ათასი მუშა.

ქურთების აჯანყების ჩახშობა.

ოსმალეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ოსმალეთის ჯარები განაგრძობენ მოქმედებას ქურთების აჯანყების ჩახშობისთვის. აჯანყებული ქურთები გაიშმორტყმულია.

მათ ხელმძღვანელობს შაჯა.

საბჭოთა კავშირში მოსკოვის ხელოვნების ხუთი წლის თავი

ჩიჩერინის დეპეშა რუზველ—ბეის

ჩიჩერინმა გაუგზავნა ტევფიკ რუშდი—ბეის შემდეგი დეპეშა: „გთხოვთ გადასცეთ თქვენს მთავრობას ჩემი მთავრობისაგან მილოცვა მოსკოვის ხელოვნების ხუთი წლის თავის გამო, რომელმაც ჩაუყარა საფუძველი ოსმალეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრულ ურთიერთობას.

სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ მეგობრული ურთიერთობა განუწყვეტლივ მტკიცდება სსრკ-სა და ოსმალეთ შორის საერთო მშვიდობიანობისთვის.

ჩიჩერინი 16 მარტი.

ტევფიკ რუშდი—ბეის საპასუხო დეპეშა

საპასუხო დეპეშაში ტევფიკ რუშდი—ბეი ამბობს: „ჩვენ გულწრფელი ვართ, რომ მეგობრობა და თანამშრომლობა, რომელსაც ნ წლის უკან ჩაეყარა საფუძველი, განუწყვეტლივ ვითარდება ხალხთა საკეთილდღეოდ და საყოველთაო მშვიდობიანობისთვის.

ტევფიკ რუშდი 18 მარტი,

საუკეთესო მეურნეობის დაჯილდოება.

უკრაინის ყველა ოლქებში გამოკვლეულ იქნება გლეხთა მეურნეობები. თვითეული საუკეთესო მეურნეობა მიიღებს ფულით ჯილდოს. ჯილდოსთვის უკრაინის თვითეულ ოლქისთვის გადადებულია 15,000 მანეთი.

აზერბეიჯანში.

ძველი ქალაქი.

აზერბაიჯანის არქეოლოგიური კომიტეტი სწავლობს ამჟამად ნუხის მახლობელში ნაპოვნ ძველი ქალაქის ნაშთებს.

სანამუშო გათხრამ აღმოაჩინა მაღალი კულტურის კვალი.

საქართველოში

ქუთაისის ქალაქის საბჭოს არჩევნები

დღეთავრდა არჩევნები ქალაქ ქუთაისში. არჩევნებში მონაწილეობდა მოსახლეობის 70 პროც. მეტი. ქალაქის საბჭოში არჩეულია 139 წევრი.

30 მარტს მოხდება დელეგატთა ყრილობა, სამხარო აღმასკომისა და სრულიად საქართველოს ყრილობისთვის დელეგატთა არჩევნები.

სასოფლო გზების შესაკეთებლად.

ოზურგეთის მაზრის აღმასკომმა ნება დართო ხიდასთავის თემის აღმასკომს გლეხთა თვითდაბეგვრისა 2,000 მანეთის ფარგლებში თემის მასშტაბში სასოფლო გზებისა და ხიდებისა შესაკეთებლად.

ასი პროცენტით.

ბორჯომის მინერალურ წყლების ქარხანამ მიიღო ახალი სარეცხი და საცობი მანქანები. 3 თვის განმავლობაში წყლის დამზადება გაიზრდება 100 პროც. ე. ი ორჯერ.

არმიის სამხკორთა მესამე თათბირი.

თათბირის გახსნა.

შაბათს, 20 მარტს, წითელი არმიისა და ფლოტის სახლში გაიხსნა არმიის სამხკორთა მესამე თათბირი.

თათბირი გახსნა ამხ. ანჩარსკის, რომელმაც გააშუქა თათბირის წინაშე მდგომი ამოცანები.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნა სნეგირევი, ანჩარსკი, ლიპატოვი, ნაზარალი, ასკეროვი, ნიკოლაევი, გონჩაროვი, ღვინიაშვილი, წკალაძე, სუხენკო, ტერტიჩანი, ასრიბეკოვი, სიმონოვი, გაიდაროვი, გრებენშჩიკოვი, დიაკონოვი და ისაევი.

დღის წესრიგი:

1. არმიის სამხედრო-პოლიტიკური სწავლების შესახებ.
2. პროკურატურის მოხსენება.
3. სამხკორთა მუშაობის მორიგი ამოცანები.
4. „კრასნი ვოინის“ მუშაობის შესახებ.
5. ეროვნულ წითელარმიელთა გაზეთებისა და სამხკორთა მუშაობის შესახებ ეროვნულ და ტერნაწილებში.
6. სამხედრო განყოფილებების შესახებ სამოქალაქო პრესაში.
7. სამხკორის პოლიტიკური აღზრდა და მომზადება.
8. კედლის გაზეთების შესახებ.

ამხ. რატნეკის სიტყვა.

კ. წ. დ. ა. პოლიტსამართველოს უფროსის ამხ. რატნეკის თავის შესავალ სიტყვაში შეეხო საერთოდ საბჭოთა პრესის და, კერძოდ, სამხედრო პრესის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ის თავისი მუშაობით ხელს უწყობს ჩვენი საბჭოთა კავშირისა და წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის განმტკიცებას.

სამხკორი ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების თვალი და ყური და მათი თანაშემწეა წითელი არმიის აღმშენებლობის საქმეში.

ამჟამად ჩვენს წინაშე სდგას მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის ავტორიტეტის გაძლიერების ამოცანა. ამასთან დაკავშირებით სამხკორთა მხრივ საჭიროა მეტად ფრთხილი მიდგომა გამომაჯარავებელ მასალებისადმი.

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ ჩვენი სამხკორები იყენენ, არიან და იქნებიან პირველი თანაშემწეები მეთაურ-პოლიტშემადგენლობისა წითელი არმიის სხვრძოლო და პოლიტიკურ ძლიერების განმტკიცების საქმეში.

სამხედრო-პოლიტიკური სწავლების შესახებ პ. წ. დ. არმიაში.

ამხ. სნეგირევის მოხსენება.

ინტერნაციონალური აღზრდა.

სამხედრო-პოლიტიკურ სწავლებაში უმთავრესი ამოცანაა ინტერნაციონალური აღზრდა.

ჩვენი არმია მრავალ ეროვნებათაგან შედგება, რაც ჰბადებს მთელ რიგ დაბრკოლებებს მუშაობაში.

წითელარმიელი, რომელიც მოსულა მივარდნილ კუთხიდან, წერა-კითხვის მცირე მცოდნე ან სრულიად უცოდინარი, უნდა ხედავდეს მეორე ეროვნების წითელარმიელსა და მეზობელში თავის მეგობარსა და ამხანაგს, რომელთანაც მას საერთო ამოცანები აქვს. აქ დიდი ასპარეზი მუშაობისთვის, რომ აღზრდილ იქნას წითელარმიელი ძმურ სოლიდარობის საფუძველზე და სხვ.

საერთაშორისო მდგომარეობაში გარკვევა.

ჩვენ გვესაჭიროება პოლიტიკურად კარგი მომზადებული წითელარმიელი. ჩხოლოდ ისეთი წითელარმიელი, რომელიც კარგად ერკვევა საერთაშორისო მდგომარეობაში, რომელიც კარგად წარმოიდგენს, თუ ვინაა მისი მტერი და მოყვარე, შეძლება იყოს ერთგული დამცველი მუშურ-გლეხური ხელისუფლების.

ს. კ. პ.-ს მე-14 ყრილობის გადაწყვეტილება — მასებში.

შემდეგი ამოცანა,—ეს არის ჩვენი პარტიის მე-14 ყრილობის დადგენილებათა განმარტება წითელარმიელთა მასებთან. წითელარმიელმა უნდა იცოდეს მუშათა კლასისა და გლეხობის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ, ჩვენი აღმშენებლობის პერსპექტივების შესახებ და სხვ.

წითელი არმია პირველ უკვლისა სამხედრო სკოლაა.

ჩვენთან ასეთი მოვლენაა: წითელარმიელი, რომელიც მოდის წითელ ყაზარმაში, ხედავს მასში უმთავრესად საერთო განათლების სკოლას, სადაც მას უნდა ასწავლონ წერა-კითხვა და სხვა, ხოლო ყველა რიგში ის ხედავს სამხედრო მომზადებას. რასაკვირველია, წითელი არმიის რიგებში წითელარმიელი მიიღებს საერთო განათლებასა და პოლიტიკურ ცოდნას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ წითელი არმია პირველყოვლისა სამხედრო სკოლაა, რომელიც ამზადებს სამხედრო საქმისა და პოლიტიკურად მცოდნე წითელარმიელს.

ჟემდეზშიაც განვამტკიცოდ დისციპლინა.

დისციპლინა ჩვენს არმიაში ტყიცე ფეხზე დადგა, მაგრამ მაინცაა მისი დარღვევის შემთხვევები.

მუშაობა დისციპლინის განმტკიცების საქმეში შემდეგშიც უნდა განვაგრძოთ.

(შემდეგი იქნება)

სამხედრო საქმე

პირდაპირი შემოკვრა და გრძოლა მანძილზე.

ბრძოლის დაბოლოვების უმეტესად ხდება მოწინააღმდეგეზე ხელჩართული შეტაკებით. ამ უკანასკნელს კი წინ უნდა უძღვეს ისეთი მოქმედება სხვა და სხვა საშვალებებით, რომლითაც ჩვენ შევკვეთლება მტერის შეთხელება, მისი შესუსტება ჯერ კიდევ შორი მანძილიდან იმდენად, რამდენადაც ჩვენთვის ხელსაყრელი იქნება შეტაკების დროსთვის.

ამ მიზნით სანამ ადამიანებმა ჯერ კიდევ თავისი მუშტისა და ქვის ხმარების მეტი იარაღი არ იცოდნენ რა, ისინი მტერზე მიახლოვების პირველად რამოდენიმე მანძილიდან ესროდნენ ქვებს და შემდეგ კი იბრძოდნენ ხელჩართულად.

ადამიანების ცხოვრების შემდგომ საფეხურზე, უმჯობესდება სამხედრო ხელოვნებაც და ორი მოპირდაპირე ესკადრონ ერთი მეორეს მანძილზე ისრებს,

ჩვენს დროში მანძილზე ბრძოლის საშვალებანს ვერცხლი ჩამოვთვლით ერთბაშად—მაგ.. სამ ხაზიანი შაშხანა თოფი, რევოლვერი, ტყვიამფრქვეველები სხვა და სხვა ხასიათი, შინის მფრქვეველი, არტილერია, ჰაერიდან მებრძოლი მანძილზე, ჰაერის საწამლავები და სხვ. უოველივე ესა და ასეთები კიდევ სხვა საშვალებანი იხმარება მანძილზე ბრძოლისათვის ე. ი. მანამ სანამ ჩვენ მტერზე პირის პირ მივიდოდეთ.

ამრიგად ყოველივე პირდაპირ შემოკვრას წინ უძღვის ბრძოლა მანძილზე.

ძველად, როდესაც მანძილზე ბრძოლის საშვალებად ქვა მეტი არა იყო რა, ამ ხასიათის ბრძოლას არ ქონდა იმდენი მნიშვნელობა, მაშინ უფრო პირდაპირი შემოკვრით წყდებოდა საქმე. ჩვენს დროში მანძილზე ბრძოლას იმდენი დიდი მნიშვნელობა და გვილენა აქვს, რომ ხშირად, როგორც იტყვიან სულმოკლე მტერს, მასზე პირდაპირ ჩამოვლმდის უყურებენ.

პირდაპირ შემოკვრა ჩვენს დროში დიდათ არის დამოკიდებული მანძილზე ბრძოლის წარმოებაზე, ვინაიდან რამდენად მეტად დაისუსტებს ჩვენი არტილერია და სხვა ცეცხლის საშვალებები მტერს, იმდენად მათზე გაწყობენ უფრო ადვილი იქნება შემოსაკრავად მისულ ნაწილებისთვის.

ამრიგად მანძილზე ბრძოლის ამოცანას შეადგენს:—იმდენად გამოიყო ს მანძილზე ბრძოლით მტრის ცეცხლი ძალები, რომ პირდაპირ შემოკვრის დრო ჩვენ ვიქნეთ მასზე ძლიერი.

გამბედაობა და უნარიანობა.

გამბედული და უნარიანი მოქმედება ბრძოლის ველზე ჩვენ მოგვცემს მტერზე უპირატესობას ინიციატივის ჩვენს ხელში გადმოსვლის სახით. რას ნიშნავს ინიციატივა? ინიციატივა ნიშნავს მტერის ისეთი მდგომარეობაში ჩაყენებას, რომ ის მის მოქმედებას ვერ აწყობდეს ჩვენდა დამუკლებლად, არამედ მისი მოქმედება იყოს ჩვენს მიერ უკვე ქმნილ მოქმედებაზე დამოკიდებული, ე. ი. ჩვენი მოქმედება იყოს თავისუფალი და მტერის კი დამოკიდებული მაზე.

ეი სწორედ ასეთი ინიციატივა ყოველთვის ეკნება იმ მხარეს, რომელიც უფრო სწრაფად გაერკვევა მდგომარეობაში, უფრო მალე მოიაზროვნებს თუ რა უნდა გააკეთოს და მტერზე მოსწრებით მოიბრძას მას.

ასეთ მოქმედებას კი უნდა ემზადებოდეს და უნარიანობა.

არც ვარგა მეტი სიჩქარე, მდგომარეობაში გაურკვეველ მოქმედება.—არ უნდა დავივიწყოთ, რომ მტერი ძლებს ხელს ყრილ დრო, და ჩვენი შეცდომები კი მისთვის ყოველთვის ხელსაყრელია, ამიათვის ჩქარი მოქმედება ყოველთვის უსათუ ედ უნდა იყოს სრული გააზრებული. სწორი და სრულიად გააზრებული, მასთან სწრაფად, ენერგიულად და გაბედულად ჩატარებული შეტევა აუცილებლად მოგვცემს ნაყოფს გამარჯვების სახით!

მოულოდნელობა და მისი მნიშვნელობა ბრძოლის მართველობისათვის.

ჯერ კიდევ ცხოვრებაში რომ ვიცით, ადამიანს მოულოდნელობა აყენებს განცვიფრებაში და უმეტესად აკდებს მას სასოწარკვეთილებაში. ადამიანის ასეთ მდგომარეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბრძოლის ველზე, სადაც მოპირდაპირე სწორად იმ დროს ეძებს, როდესაც ჩენ გაურკვეველი ხარ შენ მოქმედებაში. შენი გაურკვეველობით ის ადვილად პოულობს საშვალებას სადაც სურს მს იქ შემოგკრას.

როგორც ვიცით ბრძოლაში ორივე მოპირდაპირე ყოველთვის ცდილობს მოიპოვოს ძლიერი გადამწყვეტ დროისათვის, ეს მდგომარეობა აიძულებთ ორივე მხარეს ფხიზლად იდევნონ ერთიმეორის მოქმედებას თვალ ყური. ჩვენი მოვალეობა კი აოის ის მოვიბრძოლო რომ მტერს აუხვიოთ თვალები, როგორც ნათქვამია, და შემოკვრად იმ დროს და იმ ადგილას, როდის და სადაც ის ჩვენ ეძ გვილის. ეს კი მისთვის იქნება მოულოდნელობა—აღა ნიშნავს ბრძოლის მოგებას ნაყოფი მსხვერპლის გაღებით. ასეთი მისი მნიშვნელობით, მოულოდნელობას ომის წარმოებაში უკავია პირველი ადგილი. მოულოდნელობა ჟი თავისი ბრძივ მოითხოვს ჩვენგან, სრულიად დაფარულად გვქონდეს ჩვენი გადაწყვეტილება თუ სად უნდა შემოკრათ მტერს და ამ მიზნისთვის ჩვენი მოძრაობა. თვით შემოკვრა კი მტერზე სათანადო დროს ხდებოდეს მეტად გაბედულად და ენერგიულად. ყოველივე ეს ის უნდა იქნას შესრულებული, რომ მტერმა არ გაგვიგოს, ისე, რომ ჩვენი იერიში ელვისებურ სისწრაფით დაატყდეს მას თავს.

გადაწყვეტ დროს და ადგილას, ორ მოპირდაპირეებს შორის ყოველთვის ის იქნება მეტი ძლიერი, რომელიც შესძლებს დაფაროს მტრის თვალთვალიდან და სმენიდან ყოველივე მისი მოძრაობა და გადაწყვეტილება და რომელიც მოევლინება—მოულოდნელად.

მოულოდნელობა არის ის შვალება, რომ მტერზე ძლიერი იყო ყოველთვის და ყოველგან.

დ. მელაძე.

რას ამბობდა ლენინი სოციალიზმის აღმშენებლობის შესახებ ჩვენში.

არავის იმდენი და ისე ძლიერ, როგორც ლენინს, არ უგინებიათ ჩვენი სახელმწიფო აპარატი ბიუროკრატიზმისთვის, არავინ ისე არ დაცინოდა ჩვენს გარეგნულ ტარებს წარმატების შესახებ, რომელიც ამახვედრებდა სინამდვილეს, რომელიც ხატავდა მ-ღწევებს გაზვიადებით და ამით ხელს გვიშლიდა შეცდომების დროულად მიგნებასა და მათ გამოსწორებაში.

ვის არ ახსოვს ლენინის ცნობილი სტატია, დამცინავი სტატია იმის შესახებ, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატი იმდენად ცუდია, რომ ის მუშაობს არა ჩვენთვის, არამედ ჩვენს წინააღმდეგ.

მაგრამ მაინც არ გაგვგონია ჩვენ მისგან ერთი დაწუნებული სიტყვაც კი, რომ ჩვენში მიღებ ბეშმარიტი სოციალისტური აღმშენებლობა.

1921 წლის შემოდგომაზე, როცა ჯერ კიდევ არ ყოფილა იმ წარმატებათა წინასწარი, რომელიც ჩვენ დღეს გვაქვს, ის სწერდა: „იმ პირობებში, როცა ქვეყანა ასე გაპარტახებულია და პროლეტარიატი—ქანცმილეული, ზედმიწევნით ლონისძიებით ვიბრძვით უძნელეს საქმის—სოციალისტური მეურნეობის სამრკვეულისთვის“.

იმავე წერილში ის სწერს მკრთ მორწმუნეთათვის: „ვისთვისაც „მოსაწყენი“, „არა საინტერესო“ და „გაჯგუბარია“ ეს ბუშაობა, ვინც უმეცრებით და შიშით უცქერის მას, ან და ითვრება ლაბარაკით იმის შესახებ, რ მ ალარაა „წინანდელური აღფრთოვანება“, „წინანდელური გაცხოველება“ და სხვა,—უმჯობესია ის „გამთავისუფლებულ იქნას მუშაობისაგან“ და ჩავაბართ არქივს, რომ მან ზიანი არ მოგვიტანოს, ვინაიდან მას არ სურს, ან არ შეუძლია ჩაუფიქრდეს ბრძოლის ამ საფეხურის თავისებურებას“.

ასე ამბობდა ლენინი 21 წლის შემოდგომაზე, ხოლო 1923 წ. გაზაფხულს, როცა ჩვენ უკვე გვქონდა პირველი წარმატება ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ, ლენინი სწერდა:

„სახელმწიფოს ძალა-უფლება უველა მსხვილ წარმოებათა საშვალებებზე, სახელმწიფო ძალა-უფლება პროლეტარიატის ხელში, კავშირი ამ პროლეტარიატისა მრავალ მილიონიან წვრილ გლეხობასთან, ამ პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა გლეხთა მიმართ და სხვა,—ეხანა ეს არ არის უველაფერი ის, რ ც საჭიროა სრული სოციალისტური საზოგადოების მოსაწყობად?

ქვევით ის სწერს: „სხვა საქმეა იოცნებო მუშათა უოველგვარ ბეთაში გაერთიანებაზე სოციალიზმის ასაშენებლად და სულ სხვა პრაქტიკულად ისწორციელებს სოციალიზმის შენება ისე, რომ უოველ მცირე შეძლების გლეხს შეძლოს მონაწილეობა მიიღოს აღმშენებლობაში. აი სწორედ ამ საფეხურზე შევდექით ჩვენ დღეს“.

ამ რიგად ლენინს არამცთუ ეჭვი არ შეიძლება ჩვენი მუშაობის ხასიათში, პირიქით, ის ფიქრობდა, რომ ჩვენ სოციალიზმის აღმშენებლობის საქმეში, კოოპერაციის საშვალებით თანდათან ვიზიდავთ წვრილ გლეხობასაც.

ლენინი არ ეკუთვნოდა იმ კატეგორიის ხალხს, რომლებიც საჭიროა თუ არა, ყველგან გაჰკვირიან „ვაშას“ და ტრაბახობენ უმნიშვნელო მიღწევებზედაც კი. მას ისე, როგორც არავის, ესმოდა სოციალიზმის აღმშენებლობის ის ძნელები, რომლებიც აუცილებელია ჩვენს ჩამორჩენილ, წერა-კითხვის მცირე მცოდნე და ტეხნიკურად დაბალ დონეზე მყოფ ქვეყანაში. ის უწოდებდა ამ სიძნელეებს „მეტის მეტად მძიმე სიძნელეებს“, მაგრამ მას არას დროს არ უფიქრია, რომ ჩვენ დავიღუპებით ჩვენი ჩამორჩენილობის გამო, თუ რომ გვიამბობდი ეჩ მოგვშველებია სხვა, ძლიერი სამრეწველო ქვეყნის მუშები, დაამარცხებენენ რა თავიანთ ბურჟუაზიას.

ლენინი ამბობდა: „ჩვენ მტრებს არა ერთხელ უთქვამს ჩვენთვის, რომ ჩვენ უანგარიშოდ მოვკიდეთ ხელი სოციალიზმის განხორციელებას საქმეს სითანადო კულტურის არ მქონე ქვეყანაში. მაგრამ ისინი შეცდენ იმაში, რომ ჩვენ დავიწყეთ არა იქიდან, რომგორც ეს გათვლა სწორებული იყო თეორიით (ჰეიდნტების მიერ); ჩვენი პოლიტიკური და სოციალური გადატრიალების გახდა იმ კულტურული გადატრიალების, იმ კულტურული რევოლიუციის წინამორბედი, რომლის წინაშე მაინც ვსდგებართ ჩვენ ამ ჟამად. თუ რომ სოციალიზმის ასაშენებლად საჭიროა კულტურის განსაზღვრული დონე (თუმცა არავის შეუძლია სთქვას, რომელია ეს „კულტურის განსაზღვრული დონე“), რატომ არ უნდა დავიწყოთ ჯერ რევოლიუციონერი გზით იმ წინაპრების ხელში ჩაგდება ამ განსაზღვრული დონისათვის, ხოლო შემდეგ კი, მუშურ-გლეხური ძალაუფლებისა და საბჭოთა წესწყობილების საფუძვლებზე გავსწიოთ წინ სხვა სახელმწიფოების დასაწევად“.

ასე ფიქრობდა, ასე ლაპარაკობდა და სწერდა ვლადიმერ ილიჩი ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობის შესაძლებლობის შესახებ.

უოველივე, რომ ჩვენს დროს, როცა ჩვენ რამოდენიმე მილწევები უკვე გვაქვს, ის კიდევ მეტის გადაჭრით გაიმეორებდა უოველივე ზემონათქვამს და კიდევ უფრო ძლიერ დაჰგმობდა უველა ურწმუნო თომების ეჭვიანობას.

ვ. ლ—ი.

ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

მისალმება
ქ. ტფილისი მე-6 ქართულ ლეგიონის უფროსს.

მე-6 ქართულ ლეგიონის მე-2 ასეულის უფროლიტკადრის წითელ არმიელთა და ცვალებადი შემადგენლობა, გაძლების თქვენ და სამხედრო კომისარს მხურვალე სალამს, სალამს წითელ ლაშქრის 5 წლის თავის გამო. ერთხელოვნად და ყველას გასაგონად ფიცსა ვსდებთ, რომ ყოველივის მზად ვიქნებით საპატიო ხელისუფლების დასაცავად.

გაგმარჯოს საძართველოს წითელ ლაშქრის 5 წლის თავ!

პრეზიდიუმი.

შეფმა ჩაგვაბარა წითელი დროშა.

ა. წ. 21 მარტს მე 6-ე ლეგიონის მე-6-ე ასეულს ჩააბარა წითელი დროშა ქიზიყის რაიონის მუშებისა კავშირმა. ამ დღეს მთელი ქვემო მაჩხაანის ქუჩები გაიპყრა მჭრომელი გალხობით.

დროშის ჩაბარებამდე ასეულის წერტს ესტუმრა არჩილ პოლიტსამმართველოს წარმომადგენელი, მე-2-რე დივიზიის პოლიტ განყოფილების წარმომადგენელი. მოვიდენ მე-4 ე ასეულის ცვალ. წითელ არმიელები. ამ დღეს დივიზიის ტრანსპორტზე მიწერილი ცვალებად წითელ არმიელებს ამეცადინებდა დივიზიიდან მოვლინებული ამხ. შანშაშვილი. მან დივიზიაზე მიწერილი ცვალებადი წითელ არმიელები შემოუერთა ხსენებულ ასეულს. წერტის ეზო სავსე იყო ხალხით. წითელ არმიელებმა მოელოდნენ შეფის გამოჩენას. სრულდება თორმეტი საათი, გამოჩნდა შეფიც და მასთან ერთად ხელისუფლების წარმომადგენლები.

დროშის გადმომბარებელი კომისია დადგა ასეულის წინ შუაზე.

მწყემსთა კავშირის წევრი ამხ. ბეგიაშვილი, მიესალმა ასეულს და გადასცა დროშა შემდეგი სიტყვებით:

„გაბარებთ წითელ დროშას, რომელიც უნდა ფიროდეს კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ტანჯვა წვალებას განიცდიან მუშები და გლეხები.“

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ამავე ასეულის ვეთ. უ-ი. მიესალმენ აგრეთვე ა'ჩაის პოლიტ სამმართველოს და მე-2-ე დივიზიის პოლიტგანყოფილების წარმომადგ ნელი. გულწრფელი სიტყვით მიესალმა ამავე ასეულს სიღნაღის სამაზრო პროფკავშირის წარმომადგენელი. დ მაწრეების უფროდღეა მიიპყრო ცვალებად წითელ არმიელის სიტყვამ.

დროშის ჩაბარებს დროხ განუწყვეტელი „ვაშას“ ძახილი გაისმოდა ცვალებად წითელ არმიელებისაგან.

გადაიღეს სურათი შეფთან ერთად.

ასეული ფიცს იძლევა, რომ იბრძოლებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, შეფისაგან მიღებული დროშის ქვეშ თუ მდგომარეობა მოითხოვს.

სამხკარი მეფარიშვილი.

ჩვენი ნაწილების ლენკუთხეებში.
ლენკუთხე კარგად მოვაწყვეთ.

ვ. მე ლეგიონი.

ნაწილში დღემდე გვქონდა ლენკუთხე, მაგრამ ის არ იყო სათანადოთ მოწყობილი, რაც უმთავრესად მიეწერება ნაწილის უსახლკარობას. ამ გარემოების გუთ ვალისწინებით ბრძანება გამოყოფილი იქნა ლენკუთხეების მომწყობი სპეციალური კომისია, რომელმაც უკვე დაიწყო სათანადო ნაბიჯი და ვადაახალისა ლენკუთხეები. კომისია იძლეოდა მხოლოდ დირექტივებს, ხოლო მოწყობაში დიდი როლი ითამაშეს მეთაურებმა; მათ თავისი ინიციატივით შეიძინეს სხვა და სხვა ნივთები და მორთეს კუთხეები.

ამ ჟამად ლენინის კუთხეები ისე მიმზიდველად გამოიყურება, რომ წითელ არმიელთა მთელი შემადგენლობა იქ იყრის თავს და მეცადინეობენ.

ყველა გულმხურვალე მადლობას უძღვნის მეთაურებს ასეთი მუშაობისათვის.

წ. არმ. იოსელიანი.

ესეც დიდ მთაბეჭდილებას სტოვებს.
1 ლი ლეგ. 5 ასეული.

ასეულის ლენინის კუთხე დიდ როლს თამაშობს ნაწილის წითელ არმიელთა ყოველმხრივი გათვითცნობიერების საქმეში. კუთხეში მრავლად ვლებულობთ სხვა და სხვა ჟურნალ გაზეთებს, რომელსაც გულმოდგინეთ კითხულობენ წითელ არმიელები. კუთხეში მოწყობილია სპეციალურად ლენინის ბიბლიოთეკა. ხშირია კუთხეში კ მათ სხვა და სხვა საკითხების გარშემო, რასაც დიდი ნაყოფი მოაქვს. პოლიტხელი ენერგიულად მუშაობს კუთხეში, რაკ დიდ მთაბეჭდილებას სტოვებს წითელ არმიელებზე.

წ. არმ. ი. დევაძე.

პავშირი მუშებთან.
მე-2 დივ. არტლეგიონი.

დიდი ხანი არ არის რაც ჩვენი ლეგიონი დაუხლოვდა ტყავტრესტის მუშებს. კავშირი დაიწყო უბრალოდ—ერთმანეთის კომლჯრედის კრებებზედ წარმომდგენლების დასწრებით, რის შემდეგაც მოწვეული იქნა გაერთიანებული კრება, რომელმაც უფრო მჭიდროდ შეგვაკავშირა ერთმანეთთან. შემდეგ თითქმის ყველა დღესწაულები და კომპანიები ტარდებოდა ერთობლივად ძალებით. ორჯერ იქნა მოწყობილი ექსკურსია ქარხანაში: სადაც ჩვენი წითელარმიელები დაწვრილებით გაეცნენ მათი წარმოების იარაღებს და საერთოდ მათ საქმიანობას, მეორე მხრივ ისინიც გვეწვივნენ ყაზარმაში და გაეცანენ ჩვენს ცხოვრებას და სამხედრო სწავლებას.

ჩვენ არა გვაქვს კუთხე და იძულებული ვართ საკუთარო მუშაობა ვაწარმოოთ მათი კლუბის შენობაში. თავის მხრივ ისინი დიდ დახმარებას გვიწევენ ამ საქმეში. ჩვენ მიერ გამართულ წარმოდგენებს ყოველთვის მრავლად ესწრებიან. ჯანზრახული გვაქვს მოვაწყოთ მათ კლუბში სანხედრო კუთხე, ჩვენი კედლის გაზეთები ერთობრივი დღით იცვლება მათ კლუბში, რომ სწავლება ექნეთ მუშებს უფრო დაწვრილებით გაეცნენ ჩვენ მუშაობას.

ამ 4 თვემ დაგვანახა თუ რამდენად საჭირო ყოფილა კავშირი ჯარის და მუშების შორის, რომ მხოლოდ ამ გზით შეგვძლებოდა ჩვენ განვახორციელოთ მოსახლეობის გაჯანსაღების საქმე და მუშებისაგან მივიღოთ დახმარება, რათა სწორად და ნაყოფიერად გავატაროთ ტერიტორიალური მშენებლობის საკითხები ჩვენს სინამდვილეში.

ს. მხკარი ა. პაპავი.

მოკლე ვადიანი შეკრება დამთავრდა.
მე-6-ე ლეგ. მე-3-ე ათასეული.

21 თებერვალს დასრულდა ცვალებადეულების მოკლე-ვადიანი შეკრება. პირველი გამოცდაბედება არ იყო მთლად ნორმალური. მეორე შეკრება იყო დამაკმაყოფილებელი, ხოლო 20—21 მარტის შეკრებამ კი იმედებს გადააჭარბა.

აღსანიშნავია, რომ ამ შეკრების დროს იმდენს ვერას შევასწავლიდით, რამდენადაც საჭიროება მოითხოვდა, მაგრამ მიღწეული იმით არის აღსანიშნავი, რომ განმტკიცდა კავშირი, გაეცანენ ერთმანეთს ცვალებადეული დ დახელოვნდენ თუ რაგორ სწრაფად უნდა გამოცხადდენ საჭიროების დროს.

დღეში თუ ისინი ელოდენ მილიციის საშუალებით გამოძახილს, ეხლა კი მათ ყავთ ტერიტორიალური და ათის თავები, რომელთა საშვალებით უშვალო კავშირს იჭერენ ნაწილთან და ერთმანეთთან.

21 მარტს გამოვეშიდობეთ ჩვენს წითელ არმიელებს, წაკითხეთ სათანადო დირიგება და გემგზავრენ თავიანთ სახლებში. შეკრების საერთო დასმედე იქნა მოწვეული ცვალებად პარტიელების და ძირედ შემადგენლობის კომანდირედის დია კრება. დღის წესრიგში იყო სხვათაშორის საქარ. წითელ არმიის ხუთი წლის თავისა და სანხედრო კუთხის საზეიმო გახსნის შესახებ. კრების შემდეგ მიეცა პარტიელ ამხანაგებს და აქტივ წითელ არმიელებს იხვა და სხვა მითითებანი მომავალ მუშაობის ირგვლივ, რის შემდეგ ყველანი ნაიაფთვენეს დაიშალენ.

სამხკარი დ. ჭანკვეტაძე.

წარმატების გზაზე.
1-ლი ლეგ. საკავშირო გუნდი.

გუნდში სასურველად არის დაყენებული წითელ არმიელების აღზრდის საქმე. პირველ რიგში ყურადღებას ექცევა სახედრო სპორტის შესწავლას. ნაყოფიერად ტარდება პოლიტსაათები. გამოდის კედლის გაზეთი, რომელშიდაც ხშირად წითელ არმიელები თანაშრომლობენ. დანტერესებული წითელ არმიელები სალმოობით აწყობენ ლენინის კუთხეში ხმამაღლა კითხვას, ეწყობა ხშირად ლიტერატურული გასაბრძოლებები, რომელშიდაც წითელ არმიელების უმრავლესობა ღებულობენ მონაწილეობას.

კარგად გვაქვს მოწყობილი ლენინის კუთხე, მაგრამ სამწუხაროდ განიცდის შესაფერი ლიტერატურის უქონლობას. გაზეთების მიწოდების საქმე ჯერ-ჯერობით ნიადაგზე სდგას.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ იშვიათი ამხანაგური განწყობილება არსებობს მეთაურებსა და წითელ არმიელებს შორის.

სამხკარი ს. ბოჩიჯი.

მომღერალთა წრე.
1-ლი სატრენერიო ლეგიონი

კარგი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც მომღერალთა წრის ხელმძღვანელი ლარ გყვავს; მომღერალთა წრეში თითქმის 69 კაცამდეა ჩაწერილი. კლუბის უფროსი გვპირდებოდა წრის ხელმძღვანელის მოყვანას, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი ალარ ჩანს და წრეც ამ ჟამად ალარ არსებობს.

კარგი იქნება იმ შინაც მოიყვანდენ წრის ხელმძღვანელს და წრეც დაიწყებდეს მუშაობას.

სამხკარი ა. მინადორაშვილი.

კონკურსი საუკეთესო მუშაკებზე.
საუკეთესო ცვალებადელები
(მე-4 ლეგ. კონკურსისათვის)

ფაცინაშვილი ნიკო იოსების ძე, მეურნე, კ. პ. კანდიდატი, განათლება—შინაური, შინდისის თემის მცხოვრები. სამხედრო კუთხის დაარსების ინიციატორი თავის თემში. ხელს უწყობს კლუბს პიესების მიწოდებით, რომელიც მიაქვს ნაწილის მიმღიოთეკიდან. ატარებს ხმა-მაღალ კითხვას გაზეთებიდან სამხედრო კითხვები ხუთშაბათობით და შაბათობით. ეწევა ზეპირ რეკომენდაციას. გალეკმის წევრი. სამსახ. კანდიდატი. კავშირი ნაწილთან კარგი აქვს, რამდენიმე სამუშაო დღეები გაუცდენია. საზოგადო საქმიანობის. გაზ. „წითელი არმიელი“-ს გავრცელების ხელს უწყობს (ხ. ოქმი № 2 1926 წ. 14 მარტიდან შინდისის ცვალებადელთა საერთო კრების).

მისი მუშაობა სამხედრო პროპაგანდის დარგში ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებათ (ხ. ოქმი № 2 1926 წ. 13 მარტიდან ლეგ. ბატარეის კომუნისტრედისა), არც ერთ შეკრებას არ დაკლებია, მისდევს თვითგანვითარებას.

2. ლოთეშვილი დიმიტრი ივანეს ძე. მეურნე. უპარტიო. განათლება—საშაური. სანხედრო კუთხის გახსნის ინიციატორი თავის თემში (ატენი), თემრწმენებული. ყოველგვარი ტენისური მოწყობილობა თვითონ სამხ. კუთხეში. ენერგიული მოწყობილობა თვითონ სამხ. კუთხეში. ენერგიულად ხელმძღვანელობს ცვალებადელებს. განმტკიცებული აქვს მათ შორის ამხანაგური დისციპლინა, აწყობს ხმამაღალ კითხვებს. მის დასახსიათებლათ იხ. ოქმი №№ 1-2 1926 წლის 7 იანვრიდან და 21 თებერვლიდან ატენის ცვალებადელთა კრებისა.

3. ელბაქიძე გიორგი ალექსის ძე. კოოპერატივის ნოქარი. დრამწრის აქტიური წევრი. ხმა მაღალი კითხვა ჩამტარებელი კუთხეში. არც ერთ შეკრებას არ დაკლებია.

4. ჭუჭუაშვილი სოლომონ ნიკოლოზის ძე. სოფ. ტანის ხიდის გლეხი, განათლება—შინაური, კ. პ. კანდიდატი. გლეხკომის თავმჯდომარე. თემსაბჭოს პრეზიდიუმის წევრი. კავშირი ნაწილთან კარგი აქვს. ხშირად დაიბარება ყაზარმაში. მიაქვს გაზეთები და ლიტერატურა. სასოფლო მუშაობის ინიციატორი—კეზების, სკოლა და სხვა. სამხედრო ცოდნის წრის აქტიური წევრი. გამოაწერინა სოფელს გაზეთი „წითელი არმიელი“ ორი ცალი, რომელსაც ღებულობს ბიბლიოთეკის საშვალებით.

სამხკარი დანა.

ღირსეული ცვალებადელი წ. არმიელი.

მე-6 ლეგიონის მე-5 ასეულის ცვალებად წითელი არმიელი ამხ. ს. ჯანყარაშვილი ირიცხება ხსენებულ ნაწილში ცვალებად წითელ არმიელად, რომელიც მიწერილი იქნა ასეულზე 1 თებერვლის პირველ ხანებში.

ამ დღიდან ამხანაგი განუწყვეტლივ და ენერგიულად მუშაობს სამხედრო კუთხეში, რომელიც მოწყობილია ქვემო მაჩხაანის სანიმუშო ქოხ სამკითხველოში. ამხანაგი დღეში ორ-სამ საათს ანებებს თავს ოჯახურ მუშაობას და სანხედრო კუთხეში აწარმოებს მეცადინეობას.

ასწავლის სანხედრო ლიტერატურას მკითხველებს და ურჩევს თუ რომელი წიგნი უნდა წაკითხონ პირველ რიგში. ის თვითონ აწარმოებდა მცხოვრებლებში ხმამაღალ კითხვას. თავის სოფელში მან აუარება ხელის მოწერილები შეკრიბა გაზ. „წითელ არმიელისათვის“ გააკეთა მოხსენება ცვალებად წითელ არმიელებში გაზ. „წითელ არმიელის“ გამოწერის შესახებ.

გალხობას ტეხნიკაზე წარმოადგენა არ ჰქონდა ნიღა ზე, უკმაყოფილება და სხვა, მაგრამ ამხ. ჯანყარაშვილმა შესძლო აღნიშნული იარაღების მათთვის გაცნობა.

გალხობა და ადგილმამრავი ხელისუფლება დიდათ დანტერესებულია ამხანაგის ასეთ დაუღალავ მუშაობაში.

ის ითვლება ქოხ-სამკითხველოს და სამჭოს წევრად, გამგეა ქვემო მაჩხაანის სანხედრო კუთხის.

მან თავისი ხელით გააკეთა ხუთი ლოზუნგი, რომელიც ამშვენებს სანხედრო კუთხეს.

აკრეთვე შეიძინა თავისი თავზეთ რამდენიმე სურათი (ორჯონიკიძს, ვოროშილოვის, ბუდ ვის და სხვა), რომლითაც მორთულია სანხედრო კუთხე.

სამხკარი მეფარიშვილი.

საუკეთესო მეთაური.
მე 2 არტლეგიონი.

ამხ. კიკნაძე ხსენებულ ნაწილში ძაბორობს ეგორ წოლის მაისიდან და ითვლება ბატარეის უფროსის თანაშემწედ. ამხანაგი ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა და აქცევს ხელოვნებას, რომ სამხედრო მოსწავლეებთან ერთად წითელ არმიელი სათანადო პოლიტიკური ცოდნით და განვითარებით იყოს აღჭურვილი. მას კარგათ აქვს შეგნებული წითელ არმიელის აღზრდელობასათვის მუშაობა.

მახსოვს ერთი საყურადღებო მომენტი ამ კიკნაძის მუშაობიდან, რომელმაც ნათელყო მისი მონდომება და წითელ არმიელთა გათვითცნობიერების საფუძველი. ამხ. კიკნაძე გაშვებული იყო შვებულებაში რომლისდასრულებამდე მოვიდა კლუბის უფროსთან და შესთავაზა თავისი სამსახური „თუ გესაჭიროებით გამომიყენეთ სამუშაოთო.“ ეს სიყვარული სრული გულწრფელობით იყო მისგან ნათქვამი.

ამხ. კიკნაძე დღესაც აქტიურ მუშაკთ ითვლება სკოლის გარეშე მუშაობის დარგში ჩვენთან.

სამხკარი —ტი.

ქართ. ლაშქრის 5 წლის თავის ზეიმი ჩვენს ნაწილებში

ცალკე ცხენოსანი ესკადრონი.

დღესასწაულის დღეს მოეწყო ვაგრძანებული კრება წითელ არმიელებისა და კოლოფის ქარხნის მუშების. ესკადრონის საბრძოლო კომისიამ გააკეთა მოხსენება დღესასწაულის მნიშვნელობაზე და აღნიშნა ქართული ლაშქრის ყველა მიღწევები. კომისარმა სიტყვის დასასრულში ჩაუწოდა ნაწილს უფრო გასაკეცებული ენერგიით მოჰკიდონ ხელი მუშაობას და განვამტკიცოთ ჩვენი რიგები.

მისალმებებით გამოვიდენ ეგრეთვე როგორც კოლოფის ქარხნის მუშები, ისე წითელ არმიელები.

კრების შემდეგ ნაწილმა მოაწყო შეჯიბრი ცხენოსნობაში, რომელსაც დაესწრენ ამხ. ამხ. ორჯონიკიძე, ელიავა და სხვ.

ამხანაგი ორჯონიკიძე მხურვალედ მოგვესალმა და ს.ჩუქრად გადმოგვცა სამი (3) ცხენი.

საჯიმის სადილზე ეიწვეული იქნენ ეგრეთვე კოლოფის ქარხნის მუშებიც.

წ. არმ. ვათიაშვილი.

3-ე ლეგიონი.

დღესასწაულის ჩასატარებლად ნაწილში ორი კვირით ადრე დაიწყო სამზადისი. გამოყოფილი იქნა სადღესასწაულო კომისია, რომელმაც მკვლივად მორთო მთელი ლეგიონის ყველა ასეულები. დიდი წარმატებით ჩატარდა საბრძოლო სამწყობრო, კლუბში და სხვა და სხვა წრეების ერთმანეთთან შეჯიბრის გამართვამ, რამაც თვალსაჩინოთ გახადა ჩვენი მუშაობის მიღწევები.

გამოყოფილი იქნა საკონკურსო კომისია დივიზიის უფროსის ამხ. ქუთათელაძის თავმჯდომარეობით.

21 მარტს საღამოს კრებაზე, რომელიც დაესწრო რუსული არტილერიონი და სხვა და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციები, გამოცხადებული იქნა შეჯიბრის შედეგები და დაურიგდათ ჩაჩუქრები საუკეთესო წითელ არმიელს. სამხკომთან ერთად მისალმებით გამოვიდენ სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რამაც ძიერი კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე.

სამხკორი ი. სელიანი.

2-ე ლეგიონი.

21 მარტ საათის მთელი ლეგიონის შემადგენლობას დაურიგდა წითელი ბანტები. დავეწყვეთ ლეგიონის ეზოში, საიდანაც ლეგიონის ბრძანების თანახმად მუსიკით გვემგზავრეთ ძველი სასაფლაოსკენ, აქ თავი მოვაყარეს ყველა ნაწილებმა. წარმოთქმული იქნა სიტყვები მრავალი ამხანაგების მიერ. ნაწილში დაბრუნების შემდეგ დაურიგეს სხვა და სხვა საჩუქრები საუკეთესო ამხ ნაგებს.

დასასრულ გაიმართა საჯარო სადილი მეთაურებთან ერთად, სადაც ჩვენ სიტყვები წარმოითქვა ქარულ ღაშქრის და მ. ს. მ. დღეებზე.

სამხკორი ვ. ყური თელი

მე-6 ლეგიონის ლიუქსემბურგის ფერტი.

წერტზე მდგომი ასეული ადრინად შეუდგა სადღესასწაულო ზეიმებას.

ძირად და ცვალებად წითელ არმიელებს უკითხველით ქართ. წითელი ლაშქრის ისტორიას. მჭიდრო კავშირი დავამყარეთ ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

ჩვენმა შუამ პროფკავშირმა და მაზრის აღსკომმა დღესასწაულის ჩატარებისათვის გადმოგვცა 60 მანეთი, რითაც შევიძინეთ საჭურველისათვის სხვა და სხვა ნივთები. სამაზრო განაილების განყოფილებამ დაურიგა წითელ არმიელებს 250 ცალი საწერკალამი და ფანქრები. გამოვებული იქნა საღესასწაულო კედელ გაზეთი.

21 მარტს ადგილობრივ მუშათა კლუბში მოვაწყვეთ საბრძოლო კუთხე და მოვრთვდ სურათებით.

შეადღისთვის კი აუარება ხალხი შეგროვდა კარლ მარქსის მოედანზე, ჩვენც გავეშურეთ გერმანეთის კლუბში მუსიკით, სადაც გაიმართა საზეიმო კრება.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდენ ნაწილის უფროსი და ადგილობრივ მუშათა და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ასეულმა მიიღო ლეგიონის თავისადი მისალმების დეპეშის ტექსტი, რის შემდეგ მწყობრად გავიარეთ ქუჩაში.

საზეიმო სადილზე დაესწრენ ყველა სტუმრები. სადღმზე კი გავხსენით სამხედრო კუთხე. წარმოითქვა სიტყვები თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მოსახლეობისათვის.

8 საათზე კი გაიმართა საზეიმო სხდომა მუშათა კლუბში. იქვე დადგა წარმოდგენა უფასოდ.

დღესასწაული იმედით აღფრთოვანებით ჩატარდა მთელ მოსახლეობასთან ერთად.

მეცხუთმანები შეუწყვეტლივ გაჰყიოდენ: „იაასუნ კლუბში ფირკესი, იაშასუნ შურა უქმარიო.“

მეიოხური ვლ. გრიგოლია.

მე-5 ლეგიონის 3 ასეული.

ქ. ცაგერის მე-5 ლეგიონის ასეულმა ღირსეულად იდღესასწაულა ქართული ლაშქრის 5 წლის თავი, რომელსაც ფართო ხასიათი მიეცა. ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით ამ დღისათვის ქ. ცაგერის სმკითხველთშორის მოეწყო საბრძოლო კუთხე, რომელიც მორთული იქნა პლაკატებით, დიაგრამებით და სხვა და სხვა ტიპის იარაღებით.

მოგვეპოვება აგრეთვე საკმაო რაოდენობის სამხედრო ლიტერატურა. ცვალებად შემადგენლობისათვის დაგმული იქნა წარმოდგენა. ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით შევიძინეთ 70 მანეთის სხვა და სხვა ნივთები ჯილდოებისათვის, რომლითაც დაჯილდოვებული იქნენ საუკეთესო ცვალებადი წითელ არმიელები.

სამხკორი გელენიძე.

საგზაოთა ხელახალი არჩევნები საქართველოში

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მიღებულ ცნობების 22 და 23 მარტს საბჭოთა არჩევნები ჩატარდა რესპუბლიკის შემდეგ ადგილებში:

ᲒᲣᲠᲘᲐ

ოზურგეთის თემის საბჭოში აირჩიეს 36 დეპუტატი. მათში 11 კომუნისტია და 4 კომკავშირელი.

მიქელ-გაბრიელის სათემო საბჭოში აირჩიეს 10 კომუნისტი და 1 ქალი. სულ 20 დეპუტატი.

ქალ. ოზურგეთის საბჭოში აირჩიეს 63 წარმომადგენელი. აქედან 30 კომუნისტია და 1 კომკავშირელი.

ᲐᲮᲐᲚᲐᲓᲐᲫᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ

ალასტანის სათემო საბჭოში დაკრიბა 103 წარმომადგენელი. მათში 9 კომუნისტი, 3 კომკავშირელი და დანარჩენი უპარტიონი.

კინდურის თემსაბჭოში აირჩიეს 101 წარმომადგენელი. მათში 19 კომუნისტია და 5 ქალი.

ᲠᲐᲭᲐᲨᲘ.

წედისა და ბარის სათემო საბჭოში აირჩიეს 50 წარმომადგენელი. მათში 8 კომუნისტია, 1 კომკავშირელი და 4 ქალი.

მე-4 ლეგიონის მე-3 ათასეული.

ქარ. წითელი არმიის დღესასწაულის დღეს ათასეულ ში გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელსაც დაესწრენ მუშები, გლეხები და ცვალებადი წითელ არმიელები. მიტინგის შემდეგ კი მოეწყო საზეიმო სალიო, რომელზედაც მოპატრეგებული იქნენ რკინისგზის მუშების, ცვალებად წითელ არმიელების, რაზონული კომპარტიის, განათლების მუშაკთა და ქალაქის საბჭოს წარმომადგენლები.

ათასეულს მჭიდრო კავშირი აქვს მუშებთან და მშრომელ გლეხობასთან და სწორედ ამიტომ იყო, რომ მათ მხურვალე მონაწილეობა მიიღეს აღნიშნულ დღესასწაულში.

სამხკორი ვ. ყიციანი.

მოსპეთ ნაკლულევანებანი

ᲩᲕᲔᲜᲒᲕᲘᲜᲓᲐ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲗᲘ.

მე-5 ლეგიონის ქ. ცონის შემხვევ რაზმა არ გვიკითხეენ ლექციებს სანიტარიაზე. არა გვაქვს საშუალება [დაეწყროდ ამ საქმის, რომელიც ესოდენ აუცილებელია განსაკუთრებით ჩვენთვის.

სპარია შესაფერ ყურადღებას მოაქცევდენ ამას ჩვენი ხელმძღვანელები და მოგვცემდენ საშუალებას რათა ჩვენ დავეწროთ ლექციების სანიტასაათებში.

სამხკორი რამიშვილი.

ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲨᲘ ᲣᲡᲣᲤᲗᲐᲮᲔᲑᲐ.

ტფ. სამხედრო გოსპიტლის სასადილოში დიდ უსუფთაობას აქვს ადგილი. დამოძმებით ძალებათა და კატებით იკიცხა სასადილო. ქვრებიან ქვაბებში და ებინძურებენ ყველაფერს, რადგან მიაქცევენ უყურადღებას ამ გარემოებას და არ დაკ ტან სასადილოს თუ ასე გაგრძელდა ძალები ალბათ წითელ არმიელ საკ დაჰკ ნენ.

სამხკორი ბაციკა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— **ტრაქტორების მიღება** ამერიკა-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა მიიღო ცნობა, რომ ამერიკიდან ტფილისში უკვე გამოიგზავნა, იქ შეკვეთილი 400 ტრაქტორი ტრაქტორები გაუნაწილდება ამ. კავკ. რესპუბლიკებს.

— **გუთნები.** საგარეო ვაჭრობის კომისიატმა გერმანიიდან მიიღო იქ შეკვეთილი გუთნების მთელი პარტია.

— **ტყის მოშენება.** ტფილისის მიდამოებში ტყის მოსაშენებლად ტფ. აღმასკომს განზრახვა აქვს დახარჯოს 20 ათასი მანეთი.

— **პენსიონერთა რიცხვი.** ამჟამად ტფილისის დამხვევ ა ლაროში ითვლება 1600 პენსიონერი.

— **საკავშირო, სოც. უზრ.** სახალხო კომისარიატოა წარმომადგენლების თათბირზე საქ. სოც. უზ. კომისარიატმა გაგზავნა თავის წარმომადგენელი.

— **სამკერვალო ბაღახებს** ნიმუშები დაეგზავნათ საზღვარგარეთ არსებულ სამკეთა საქმეთა წარმომადგენლობებს, სამკერვალო ბაღახეულობისათვის ბაზრის გამონახვის მიზნით.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქარ.თულ მსროლელ ლეგიონის უნტრ. მეთაური სკოლის კომუნარედში შემთანილი აქვთ განცხადებები კომპარტიაში კანდიდატად მიღების შესახებ, ამხ. ამხ. ივანე გძელიშვილს (უპარტიო მეთაური), აკაკი გვაძაბიას (უპარტიო უნტრ. მეთაური) და მეცია რაჟდენს (ახკომკავშირის წევრი 1924 წ.).

თუ ვინმეს საწინააღმდეგო გაქვთ ზემოაღნიშნულ ნაგების შესახებ, გთხოვთ გვ ცნოთ ლეკოლის კომ რედში ორი კვირის განმავლობაში.

რა გამოირკვა.

1 ლი საკავშირო ასეული.

15 მარტს ჩვენს ასეულში მოწვეული იქნა 1-ლი მესანგრე ასეულის სამხკორთა და კედლკორთა გაერთიანებული კრება ჩვენი ასეულის სამხკორებთან ერთად.

კრებაზე გაკეთებულ სანგარიშო მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სამხკორ ი წრეების მუშაობა ორივე ასეულში ამ უკანასკნელ თვეებში დაიწყო, მაგრამ მისი სისტემატიურობის ხ.ლს უშლიდა სათანადო ლიტერატურის უქონლობა; წრეებში საკმარისადაა ჩაბმული ახალწვეული წ.-არმიელები, რომლებიც ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ ყოველ ფრონტზე. კრებამ დაამტკიცა ფიქრები ბლად სცნო წრეებს მუშაობა, როგორც ასეულების კედლის გაზეთებისა, ისე სხვა გაზეთებში და წ.-არმიელთა აღზრდის საქმეში. ბოლოს არჩეული იქნა ერთი დელეგატი, რომელიც დაესწრო არმიის სამხკორთა კონფერენციაზე სანგარიშო მოხსენების გაკეთება და ყველა ჩვენი ნაკლის და მიღწევების დაუფარავად დანუსხვა.

წ. არმ. ვ. კუნჭულია

რას უნდა მივაქციოთ ყურადღება.

ჩვენს ჯარში ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან მოიკიდა ფეხი ვენერიულ ავადმყოფობამ, ამავე დროს ბევრი დიწერა, მაგრამ საქმეში არ თვით სამხკორებმა გამოჩინონ თავისი მუშაობა და ინიციატივა.

რაში გამოიხატება ეს მუშაობა? ყველა სამხკორი, ჩაილაშქრის გავლის დროს აუცილებლად წაიწყებდა წ.-არმიელს, რომელიც იმყოფება მეძავ ქალებთან.

საქმროა სამხკორმა მხედრობის პუნქტში (ეს იქნება ლეგიონში თუ ასეულის), გამოიტანოს კარიკატურები და სხვა, რაც აუცილებლად შესაფერ ნაყოფს გამოიღებს.

სამხკორი აკაკი ოდიშარია.

შეჯიბრი სროლაში დამთავრდა.

მე-2 ლეგიონი.

ჩვენს ლეგიონში დიდი გულმოდგინებით სწარმოებდა შეჯიბრი სროლაში. იმედია მომხდება სიმწყობრე გამოიჩინა საერთოთ ნაწილმა. მრავალ ამხანაგებმა ისახელეს თავი საუკეთესო სროლით და მიიღეს შესაფერი ჯილდოები. საერთოდ კი ლეგიონში ყველაზე მეტი გამარჯვებული გამოვიდა პირველი ათასეულის მე 3 ასეული, რომელმაც არმიის შტაბიდან მიიღო ჯილდოდ წითელი დროშა.

ასეულმა საუკეთესო ულარი გამოჩინა ეგრეთვე ლენკუთხის მოწყობაში, რისთვისაც ჯილდოთ ერგო გრამაფონი თავისი მოწყობილობით.

მეორე პრიზი სროლაში მიიღო მეორე ათასეულმა.

იმედია ჩვენი ლეგიონის ნაწილები კიდევ მეტ ენერგიას და ცოდნას გამოიჩენენ თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულებაში.

სამხკორი წ. არმ. შ. რევიშვილი.

დავაარსეთ რემედასის და ავიოქიმის უჯრედები

1 ლი ლეგ. მე-3 ათასეულ.

22 მარტს ათასეულის მე 9 ასეულის გაერთიანებულ კრებაზე გაკეთებული იქნა მოხსენება ხსენებულ ორგანიზაციათა უჯრედების დაარსების აუცილებლობაზე. მოხსენებები ვრცლად შეეხენ საკითხებს, აღნიშნეს თუ რა მნიშვნელობა აქვთ მათ და როგორ უნდა უწყობდეთ ხელს მათი მოღ ნირების საქმეს. განსაკუთრებით დიდხანს შეჩერდა მომხსენებელი ქიმიის მნიშვნელობაზე, რომელსაც დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს როგორც სამხედრო საქმეში გამოსაყენებლად ჩვენი მტრების წინააღმდეგ, ისე მეურნეობაში. კრება სხ.ირულით შეეგება ამ აზრს და როგორც მეთაურები, ისე წ თელ არმიელები ერთხმად აცხადებდენ სურვილს გახდენ ამ თვითმმქმედ ორგანიზაციების წევრები. დადგენილი იქნა ყველა ჩაეწერონ წევრებად. არც ერთი არ დარჩეს მათ გარეშე.

მიმდინარე საკითხებში ჩამოტანილი იქნა საკითხი გაზ. „წითელ არმიელის“ გამოწერის შესახებ. მრავალ წითელარმიელებმა გამოუწერეს თავიანთ სოფლებს გაზეთები.

სამხკორი მორალიშვილი.